დამტკიცებულია 2008 წლის 24 ოქტომბრის
აკადემიური საბჭოს №24-ე ოქმით

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში

მონაწილეობის დაფინანსების წესი

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილების დაფინანსების მიღების უფლება აქვთ სადოქტორო პროგრამის სტუდენტს (პროგრამის მეორე წლიდან), ასისტენტ მკვლევარს, ასოცირებულ მკვლევარს და მკვლევარს, ასისტენტ პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს და სრულ პროფესორს (შემდგომში - ”დაფინანსების მიღების მსურველი”).

2. დაფინანსების მიღების მსურველმა უნივერსიტეტში უნდა წარადგინოს განცხადება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისათვის დაფინანსების მოსაპოვებლად. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დასახელება;

ბ) მოწვევის დადასტურება, სადაც მითითებულია, რომ აპლიკანტი მოწვეულია მოხსენების ან პრეზენტაციის გასაკეთებლად;

გ) CV

3. თუკი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება უნდა მოხდეს უნიევრსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან,დასკვნას დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. ბრძანებას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში პროფესორების მონაწილეობის დაფინანსების შესახებ, რექტორის წარდგინების საფუძველზე, გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. თუკი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, დასკვნას დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. ბრძანებას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში პროფესორების მონაწილეობის დაფინანსების შესახებ, დეკანის წარდგინების საფუძველზე, გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების მიღების მსურველს გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ უნდა ეცნობოს ამ წესის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მასალების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში.

6. პროფესორის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის დაფინანსების შესახებრექტორის უარი შეიძლება გასაჩივრდეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.

7. პროფესორის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის დაფინანსების შესახებდეკანის უარი შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოში და შემდგომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში.

8. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის დაფინანსების მიღების მსურველს, გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მისი მიღების მეორე დღეს.